*უპირატესობა შედეგია ცოდნისა!*

ᲪᲝᲓᲜᲘᲡᲐ

ᲐᲣᲓᲘᲢᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲜᲘ

# შპს დაზღვევის კომპანია "ქართუ"

ფინანსური ანგარიშგება

2012 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 31 დეკემბერი

## სარჩევი:


| | |
|---|---|
| დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა | 3 |
| სრული შემოსავლების ანგარიშგება | 4 |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება | 5 |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება | 6 |
| კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება | 7 |
| ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები | 8 |

# დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება **„დაზღვევის კომპანია ქართუ“**-ს
2012 წლის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ

1. ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა შპს **„დაზღვევის კომპანია ქართუ“**-ს (შემდგომში – *კომპანია* ან *საწარმო*) 2012 წლის ბუღალტრული აღრიცხვისა და წლიური ანგარიშგების აუდიტი. *საწარმო* დარეგისტრებულია 13.09.2001 წ. ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს № 5/4-2960 დადგენილებით, საიდენტიფიკაციო კოდი № 204970031, იურიდიული მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 39ა. მისი რეგისტრაცია ჩატარებულია *„მეწარმეთა შესახებ“* საქართველოს კანონის შესაბამისად. *საწარმო* დღგ-ის გადამხდელს არ წარმოადგენს. *საწარმოს* საწესდებო კაპიტალი უდრის 2,670,300 ლარს. მისი დამფუძნებლები არიან: კომპანია „რინგოლდ ფინანს ლიმიტიდ“ (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები), რომელიც ფლობს *საწარმოს* კაპიტალში წილის 31%-ს და სააქციო საზოგადოება „ბანკი ქართუ“ (საქართველო), რომელიც ფლობს *საწარმოს* კაპიტალში წილის 69%-ს.

2. ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საქართველოს კანონმდებლობისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. აუდიტი დაიგეგმა და ჩატარდა ისეთი ფორმით, რომ დავრწმუნებულიყავით ბუღალტრული ანგარიშგების უტყუარობაში. აუდიტისათვის წარმოდგენილი სააღრიცხვო დოკუმენტების და საანგარიშგებო მონაცემების მომზადებაზე, მათ სისრულეზე და სინამდვილეზე პასუხისმგებლობა აკისრია ზემოთადნიშნული *საწარმოს* ხელმძღვანელს. ჩვენს პასუხისმგებლობას შეადგენს ის, რომ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ აზრი მოცემული ანგარიშგების უტყუარობაზე. მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად.

3. აუდიტორული შემოწმების შედეგების მიხედვით, შპს **„დაზღვევის კომპანია ქართუ“**-ს 2012 წლის ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებდა ფინანსური ანგარიშგებისა და აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით, საქართველოს საგადასახადო და სადაზღვევო კანონმდებლობის დაცვით. წარმოდგენილი 2012 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ***ბასს 1*** *და* ***ბასს 7*** მოთხოვნების შესაბამისად და ყველა ძირითად ასპექტში სანდოდ და უტყუარად ასახავს *საწარმოს* ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ბოლოს მდგომარეობით.

გენერალური დირექტორი, სერტიფიცირებული აუდიტორი
სადაზღვევო აუდიტში, ფიზ.-მათ. მეცნ. კანდიდატი **გიორგი ცერცვაძე**

27.02.2013 წ.

211344188

| | შენიშვნა | 2012 | 2011 |
|---|---|---|---|
| მოზიდული ჯამური პრემია | | 9 204 895 | 9 747 446 |
| ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში | | (1 048 617) | 342 868 |
| გადაზღვევის ხარჯი | | (140 916) | (306 681) |
| *გამომუშავებული ნეტო სადაზღვევო პრემია:* | 3 | *8 015 362* | *9 783 633* |
| სადაზღვევო ზარალები | | (9 421 764) | (7 922 533) |
| შემოსავალი რეგრესიდან და გადარჩენილი ქონებიდან | | 1 192 | |
| შემოსავალი გადაზღვევის საკომისიოდან | | 1 395 | |
| *მოგება (ზარალი) სადაზღვევო საქმიანობიდან:* | | *(1 403 815)* | *1 861 100* |
| მომხდარი მაგრამ განუხცადებელი ზარალის რეზერვი | 4 | 18 623 | 61 503 |
| განხცადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი | | (334 192) | (100 077) |
| მიწოდების სხვა ხარჯები | | (42 980) | (2 411) |
| ადმინისტრაციული ხარჯები | 5 | (926 844) | (578 931) |
| *სულ საოპერაციო მოგება:* | | *(2 689 208)* | *1 241 184* |
| ფინანსური შემოსავალი | 6 | 142 772 | 83 725 |
| მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან | 7 | (42 276) | 27 843 |
| სხვა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი) | | 8 851 | 129 183 |
| **მოგება დაბეგვრამდე:** | | (2 579 862) | 1 481 935 |
| მოგების გადასახადი | | 382 018 | (224 584) |
| **პერიოდის მოგება (ზარალი)** | | (2 197 844) | 1 257 351 |
| **სხვა სრული შემოსავალი** | | | |
| ძირითადი საშუალებები გადაფასება | 12 | 2 480 | - |
| ცვეთის ხარჯის გადაფასების ნაწილი | | (41) | |
| **წლის სხვა სრული წმინდა შემოსავალი (ხარჯი)** | | 2 439 | - |
| **სულ წლის სრული შემოსავალი (ხარჯი)** | | (2 195 405) | 1 257 351 |

*დირექტორი* _____ *არჩილ მამაცაშვილი*

*მთავარი ბუღალტერი* _____ *კოტე მურადაშვილი*

| | შენიშვნები | ბალანსი 01.01.2013 | ბალანსი 01.01.2012 |
|---|---|---|---|
| *სულ მიმდინარე აქტივები:* | | *4 499 874* | *5 781 509* |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები | 8 | 2 767 656 | 5 259 357 |
| მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვეო საქმიანობიდან | 9 | 1 395 790 | 374 771 |
| სხვა მიმდინარე მოთხოვნები | | 11 153 | 2 349 |
| საქონელი | | 17 558 | 5 972 |
| წინასწარ გაწეული ხარჯები და წინასწარ გადახდილი გადასახადები | 10 | 244 806 | 1 805 |
| წინასწარ გაწეული გადაზღვევის ხარჯი | | 38 548 | 94 088 |
| მისაღები დივიდენდები, პროცენტები და სხვა | 11 | 24 363 | 43 167 |
| *სულ გრძელვადიანი აქტივები* | | *478 798* | *106 065* |
| ძირითადი საშუალებები | 12 | 50 959 | 58 825 |
| არამატერიალური აქტივები | 12 | 4 630 | 6 050 |
| გადავადებული საგადასახადო აქტივი | | 408 208 | 26 190 |
| ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში | 13 | 15 000 | 15 000 |
| *აქტივები სულ:* | | *4 978 671* | *5 887 574* |
| *სულ მიმდინარე ვალდებულებები* | | *1 078 829* | *841 020* |
| მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები | | 8 214 | 6 |
| გადასახდელი გადაზღვევის ვალდებულება | | 16 222 | 61 543 |
| გადასახდელი გადასახადები | 14 | | 142 215 |
| მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი | 4 | 455 976 | 474 599 |
| განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი | | 598 417 | 162 657 |
| *სულ გრძელვადიანი ვალდებულებები* | | *1 456 353* | *407 647* |
| გადავადებული შემოსავალი | 15 | 1 456 353 | 407 647 |
| *ვალდებულებები სულ:* | | *2 535 181* | *1 248 667* |
| *კაპიტალი* | | | |
| საწესდებო კაპიტალი | 16 | 2 670 300 | 2 670 300 |
| გადაფასების რეზერვი | 17 | 2 439 | |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაუფარავი ზარალი) | | (229 249) | 1 968 606 |
| *მ.შ მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)* | | *(2 197 844)* | *1 257 352* |
| *კაპიტალი სულ:* | | *2 443 490* | *4 638 906* |
| *სულ ვალდებულებები და კაპიტალი:* | | *4 978 672* | *5 887 573* |

*დირექტორი* _____ *არჩილ მამაცაშვილი*

*მთავარი ბუღალტერი* _____ *კოტე მურადაშვილი*

| | 2012 წელი | 2011 წელი |
|---|---|---|
| **ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან** | | |
| მიღებული სადაზღვევო პრემია | 8 172 562 | 10 002 882 |
| გადახდილი გადაზღვევის პრემია | (130 482) | (234 389) |
| ანაზღაურებული ზარალები | (9 354 569) | (7 808 435) |
| გადამზღვევის მიერ ანაზღაურებული ზარალები | | 4 734 |
| გადახდილი ხელფასები | (578 266) | (321 494) |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | (10 669) | (48 216) |
| სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება | (180) | (1 410) |
| გადახდილი საიჯარო ქირა | (82 929) | (84 466) |
| გადახდილი მოგების გადასახადი | (386 000) | (112 000) |
| გადახდილი გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა | (154 358) | (88 192) |
| ფულადი სახსრები სხვა საოპერაციო საქმიანობიდან | (79 650) | (1 382) |
| ***საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი*** | *(2 604 542)* | *1 307 632* |
| **ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | |
| ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა | (7 382) | |
| ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან შემოსულობანი | | |
| სესხების გაცემა | | |
| გაცემული სესხების დაბრუნება | (1 661 700) | |
| მიღებული პროცენტები დეპოზიტებიდან | 1 649 500 | |
| მიღებული პროცენტები გაცემული სესხებიდან | 155 554 | 84 871 |
| | 5 963 | |
| ***საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი*** | *141 935* | *84 871* |
| ***ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან*** | | |
| შემოსულობანი აქციების ემისიისგან / კაპიტალის ზრდისგან | | |
| მიღებული გრძელვადიანი სესხები | | |
| გადახდილი გრძელვადიანი სესხები | | |
| გადახდილი პროცენტები | | |
| ***ფინანსური საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი*** | | |
| ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა (კლება) | (29 095) | 28 496 |
| ***ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების წმინდა ნაზრდი:*** | *(2 491 701)* | *1 420 999* |
| **ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში:** | 5 259 358 | 3 838 358 |
| **ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს:** | *2 767 656* | *5 259 358* |

*დირექტორი* _____ *არჩილ მამაცაშვილი*

*მთავარი ბუღალტერი* _____ *კოტე მურადაშვილი*

| | საწესდებო კაპიტალი | საემისიო კაპიტალი | გადაფასების რეზერვი | დაგროვილი მოგება (ზარალი) | სულ: |
|---|---|---|---|---|---|
| ნაშთი 2011 წლის 1 იანვრისთვის | 2 670 300 | - | - | 711 243 | 3 381 543 |
| | | | | | - |
| სააქციო კაპიტალი გაზრდა (შემცირება) | | | | | |
| მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი) | | | | 1 257 352 | 1 257 352 |
| ნაშთი 2011 წლის 31 დეკემბრისათვის | 2 670 300 | - | - | 1 968 595 | 4 638 895 |
| | | | | | - |
| სააქციო კაპიტალი გაზრდა (შემცირება) | | | | | |
| მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი) | | | 2 439 | (2 197 844) | (2 195 405) |
| ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრისათვის | 2 670 300 | - | 2 439 | (229 249) | 2 443 490 |

*დირექტორი* _____ *არჩილ მამაცაშვილი*

*მთავარი ბუღალტერი* _____ *კოტე მურადაშვილი*

## 1. ძირითადი ინფორმაცია

შპს დაზღვევის კომპანია "ქართუ" (შემდგომში – კომპანია) დაარსდა 2001 წლის წლის 13 სექტემბერს საქართველოს *"მეწარმეთა შესახებ"* კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2670300 ლარს. 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლების იყვნენ კომპანია „რინგოლდ ფინანს ლიმიტიდ" (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები), რომელიც ფლობს *საწარმოს* კაპიტალში წილის 31%-ს და სააქციო საზოგადოება „ბანკი ქართუ" (საქართველო), რომელიც ფლობს *საწარმოს* კაპიტალში წილის 69%-ს.

კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 39ა.

კომპანიის ძირითად საქმიანობას შეადგენს ყველა ტიპის სადაზღვევო საქმიანობა. მიუხედავად ამისა კომპანიის 2012 წლის, ისევე როგორც წინა წლებში, შემოსავლების 96%-ს შეადგენდა შემოსავალი სამედეცინო დაზღვევიდან.

2012 წლის განმავლობაში კომპანიას საშუალოდ 27 თანამშრომელი ყავდა.

## 2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მოხდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

### სადაზღვევო შემოსავლების აღიარება

კომპანია გამოიმუშავებს თავის შემოსავალს სხვადასხვა სახის სადაზღვევო პოლისების გაყიდვით. კომპანია პოლისებიდან მიღებულ შემოსავალს აღიარებს გამომუშავებულ შემოსავლად იმ პერიოდის შესაბამისად რა პერიოდზეც განსაზღვრულია პოლისისა თუ გარანტიის მოქმედება. პოლისის და გარანტიის გაცემისთანავე კომპანია სადაზღვევო პრემიის (გარანტიის საკომისიოს) სრულ თანხას აღიარებს როგორც მოზიდულ შემოსავალს, ხოლო შემდომ ახდენს ამ შემოსავლის თანაბარ გადანაწილებას შესაბამის პერიოდებზე (დღეებზე).

### სხვა შემოსავალი

კომპანიის სხვა შემოსავალს წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო დაწესებულებში განთავსებული დეპოზიტებიდან. კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს მას მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, „ფინანსური შემოსავალი"-ის მუხლში.

### სხვა არასადაზღვევო ხარჯები

კომპანია აღიარებს სხვა არასადაზღვევო მოთხოვნებს მათი მოხდენისთანავე და ახორციელებს ამ ხარჯების მიკუთვნებას იმ საანგარიშო პერიოდზე რა პერიოდსაც ისინი მიეკუთვნებიან.

### გადავადებული შემოსავალი

კომპანია ახდენს მომავალი პერიოდების შემოსავალების გადავადებას და ასახავს მათ ბალანსში, „გადავადებული შემოსავალის“ გრძელვადიან ვალდებულებათა მუხლში.

### სადაზღვევო რეზერვები

სადაზღვევო რეზერვები ფორმირების წესს არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი. 2012 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას გააჩნდა კანონმდებლობით განსაზღვრული სამივე რეზერვი – *გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი, მომხდარი მაგრამ განუცადებელი ზარალის რეზერვი და განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი.*

გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი წარმოადგენს საანგარიშო წელს მოზიდულს, მაგრამ შემდეგ პერიოდებზე გადასულ სადაზღვევო პრემიის შემოსავალს.

მომხდარი მაგრამ განუხცადებელი ზარალის რეზერვი წარმოადგენს ლარში შექმნილ საანგარიშო პერიოდის ანარიცხს, რომელიც იქმნება წლის ბოლოს იმ სადაზღვევო ზარალებისთვის რომლების განეკუთვნებიან საანგარიშო პერიოდს, მაგრამ ამ პერიოდის განმავლობაში მათ შესახებ ჯერ არაფერია ცნობილი. ეს რეზერვი იქმნება სადაზღვევო პოლისების წმინდა რისკიგან გამომდინარე, ანუ გადაზღვევის პოლისების არსებობის გათვალისწინებით.

### ანარიცხები

ანარიცხები ბალანსში ტარდება იმ შემთხვევაში თუ წარსული გარემოებების შედეგად კომპანიას აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, და სავარაუდოა ეკონომიკური სარგებელის გასვლა აღნიშნული ვალდებულების დასაფარავად.

### ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ნაღდი ფული სალაროში, ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე და ფული განთავსებული საბაკო დეპოზიტებზე.

### დაზღვევის და გადაზღვევის მოთხოვნება და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

დაზღვევისა და გადაზღვევის მოთხოვნები აღიარდება სადაზღვევო პოლისების (კონტრაქტების) პირობების გათვალისწინებით და განისაზღვება პოლისის (კონტრაქტის) ღირებულების ოდენობით. მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან ბალანსში აისახება მოსალოდნელი მისაღები თანხების ოდენობით, საეჭვო სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურების გათვალისწინებით.

გადაზღვევის მოთხოვნები მოიცავენ გადამზღვევი კომპანიებისთვის გადაცემული საზღვევო ვალდებულებების ნაშთებს.

სხვა მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა სხვა დანარჩენ მიმდინარე მოთხოვნებს სადაზღვევო მოთხოვნების, წინასწარ გადახდილი გადასახადების და წინასწარ გაწეული ხარჯების გარდა.

სადაზღვევო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ასახვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში

### მიმდინარე ვალდებულებები

მიმდინარე ვალდებულებები წარმოადგენენ მოწოდებულ საქონელზე/გაწეულ მომსახურებაზე დარიცხულ ვალდებულებებს.

### გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადების ხარჯებს. მოგების გადასახადის ის ნაწილი, რომელიც პირდაპირ კაპიტალს ეხება აისახება პირდაპირ კაპიტალის მუხლებში.

კომპანიის მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საგადასახადო მოგების და მოქმედი გადასახადის განაკვეთის გამოყენებით.

გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება საბალანსო ვალდებულებების მეთოდით ყველა იმ დროებითი სხვაობების გათვალისწინებით რომლებისც წარმოიქმნება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით გამოთვლილ აქტივსა (ვალდებულებებსა) და საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით გამოთვლილს აქტივებს (ვალდებულებებს) შორის. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (ბასს) №12.47-ის გადავადებული გადასახადები გამოითვლება იმ საგადასახადო განაკვეთების გათვალისწინებით, რომლებიც მოქმედებს ან იმოქმედებს იმ პერიოდში, როდესაც კომპანიას დაუდგემა გადავადებული აქტივის (ვალდებულების) გამოყენების დრო. ამის გარდა, თუ იარსებებს, რაიმე სარგებელი კომპანიის საგადასახადო ზარალებიდან, რომელთა გადატანა შესაძლებელია მომავალ პერიოდებზე, ეს სარგებელი (გადავადებული აქტივი) ასევე ჩაირთვება გადავადებული გადასახადების კალკულაციებში.

გადავადებული გადასახადების დათვლა არ ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ცნობილია რომ ამ გადასახადების სარგებლის გამოყენება ვერ მოხერხდება.

2012 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15% შეადგენდა.

### 3. გამომუშავებული სადაზღვევო პრემია

2011 და 2012 წლების განმავლობაში კომპანიამ მიიღო შემოსავალი შემდეგი სახის სადაზღვევო პოლისების გაყიდვით:

| | 2012 (ლარი) | 2012 (ლარი) | 2012 (ლარი) | 2012 (ლარი) | 2012 (ლარი) | 2012 (ლარი) | 2012 (ლარი) | 2012 (ლარი) | 2012 (ლარი) | 2012 (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | უბედური შემთხვევა | ფინანსური რისკები | სიცოცხლის დაზღვევა | სამედიცინო დაზღვევა | ტვირთების დაზღვევა | ავტომობილების დაზღვევა | საავიაციო დაზღვევა | სამგზაური დაზღვევა | ქონების დაზღვევა | სულ |
| *გამომუშ. პრემია* | 4 884 | 37 691 | 2 730 | 7 919 453 | 54 056 | 90 288 | 41 254 | 3 015 | 2 907 | **8 156 277** |
| *გადაზღვევის ხარჯი* | | (36 890) | (234) | | (13 249) | (47 808) | (40 201) | (1 161) | (1 372) | **(140 916)** |
| | **4 884** | **802** | **2 497** | **7 919 453** | **40 806** | **42 480** | **1 053** | **1 853** | **1 534** | **8 015 362** |

| | 2011 (ლარი) | 2011 (ლარი) | 2011 (ლარი) | 2011 (ლარი) | 2011 (ლარი) | 2011 (ლარი) | 2011 (ლარი) | 2011 (ლარი) | 2011 (ლარი) | 2011 (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | უბედური შემთხვევა | ფინანსური რისკები | სიცოცხლის დაზღვევა | სამედიცინო დაზღვევა | ტვირთების დაზღვევა | ავტომობილების დაზღვევა | საავიაციო დაზღვევა | სამოგზაურო დაზღვევა | ქონების დაზღვევა | სულ |
| *გამომუშ. პრემია* | | 32 570 | 2 515 | 9 674 987 | 90 400 | 43 157 | 171 424 | 1 901 | 73 360 | **10 090 315** |
| *გადაზღვევის ხარჯი* | | (31 877) | (1 861) | | (10 084) | (33 623) | (169 284) | (951) | (59 001) | **(306 681)** |
| | | **693** | **654** | **9 674 987** | **80 315** | **9 534** | **2 140** | **951** | **14 359** | **9 783 634** |

## 4. მომხდარი მაგრამ განუხცადებელი ზარალის რეზერვი

| 2011 წელი | **რეზერვი** |
|---|---|
| 2010 წლის მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი | 536 102 |
| 2010 წლის ხარჯის კორექტირება | (536 102) |
| 2011 წლის მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი | 474 599 |
| 2011 წლის მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვის ნეტო ეფექტი შემოსავლებზე / (ხარჯებზე) | **(61 503)** |

| 2012 წელი | |
|---|---|
| 2011 წლის მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი | 474 599 |
| 2011 წლის ხარჯის კორექტირება | (474 599) |
| 2012 წლის მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი | 455 976 |
| 2012 წლის მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვის ნეტო ეფექტი შემოსავლებზე / (ხარჯებზე) | **(18 623)** |

## 5. ადმინისტრაციული ხარჯები

| | **2012 წელი (ლარი)** | **2011 წელი (ლარი)** |
|---|---|---|
| შრომის ანაზღაურება | 734 002 | 408 468 |
| იჯარა | 79 840 | 81 304 |
| საოფისე ინვენტარის ხარჯი | | |
| საკანცელარიო ხარჯები | 5 339 | 5 970 |
| კომპიუტერის და კომუნიკაციის ხარჯები | 21 883 | 17 303 |
| ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები | 27 946 | 33 273 |
| საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები | 5 000 | 5 000 |
| საგადასახადო ხარჯები | 547.51 | 816 |
| საბანკო ხარჯები | 10 669 | 5 485 |
| წარმომადგენლობითი ხარჯები | 2 620 | 3 249 |
| სხვა საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები | 8 349 | 11 323 |
| არაგამოსაქვითი ხარჯები | 30 648 | 6 740 |
| | **926 843** | **578 931** |

## 20. გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ამის გამო ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლელებები. ეს ცვლილებები საკმაოდ ბუნდოვან და ხშირად ურთიერთგამომრიცხავ ხასიათს ატარებენ, რითიც საგადასახადო ორგანოებს საშუალებას აძლევენ მოახდინონ ამ ცვლილებების სხვადასხვანაირი ინტერპრეტირება. გადასახადების შემოწმება შესაძლოა სხვადასხვა ორგანოების მიერ იქნას ჩატარებული, რის გამოც კომპანიას სხვადასხვა ხასიათის ჯარიმების თუ საურავების დაკისრების საფრთხე ექმნება.

ეს გარემოებები ქმნიან ისეთ საგადასახადო რისკს რომელიც გაცილებით მაღალია საქართველოში ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი დარწმუნებულია რომ მის მიერ განხორციელებული მიდგომა საგადასახადო საკითხების მიმართ ადექვატურია ამ მომენტში მოქმედი საკანონმდებლო ინტერპრეტაციების მიმართ, თუმცა არ არის გამორიცხული ის რომ ეს ინტერპრეტაციები შემდგომში შეიცვალოს და საგადასახადო ორგანოებს სხვა პოზიცია ჰქონდეთ ანალოგიური საკითხების მიმართ.

## 6. ფინანსური შემოსავალი

კომპანიამ 2012 წლის განმავლობაში, ისევე როგორც 2011 წელს სამ სხვადასხვა ბანკში – სს ბანკი ქართუში, სს ბაზისბანკში და სს პროკრედიტბანკში –განათავსა საკუთარი ფულადი სახსრები. კომპანიის 2012 წლის ფინანსურ შემოსავალი წარმოადგენდა ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან და მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხული პროცენტებიდან მიღებული შემოსავალი – 136,791.37 ლარი.

2012 წლის განმავლობაში კომპანიამ სს „ბანკი ქართუ"-ზე გასცა მოკლევადიანი სესხი 1,000,000 აშშ დოლარის ოდენობით 9 % წლიური საპროცენტო განაკვეთით. სესხი განკუთვნილი იყო 9 კალენდარულ თვეზე, თუმცა ბანკმა სესხის დაბრუნება მოახდინა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე. გაცემული სესხიდან კომპანიის საპროცენტო შემოსავალმა 2012 წელს შეადგინა 5,980.40 ლარი.

ვინაიდან კომპანია წარმოადგენს ლიცენზირებულ ფინანსურ ინსტიტუტს მის მიერ მიღებული საპროცენტო შემოსავალი სხვა ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად იბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით.

## 7. მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან

2012 წელს კომპანიამ მიიღო ზარალი საკურსო სხვაობებიდან 42,276 ლარის ოდენობით.

ქვემოთ მოყვანილია მონაცემები კომპანიის აქტივების და ვალდებულებების სტრუქტურის შესახებ ლარში და აშშ დოლარში (ლარის ექვივალენტის მითითებით):

| | GEL | USD | სულ |
|---|---|---|---|
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები | 1 179 781 | 1 587 875 | 2 767 656 |
| მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან | 1 391 757 | 4 032 | 1 395 790 |
| სხვა მიმდინარე მოთხოვნები | 9 673 | 1 480 | 11 153 |
| საქონელი | 17 558 | | 17 558 |
| წინასწარ გაწეული ხარჯები და წინასწარ გადახდილი გადასახადები | 244 806 | | 244 806 |
| წინასწარ გაწეული გადაზღვევის ხარჯი | 38 548 | | 38 548 |
| მისაღები დივიდენდები, პროცენტები და სხვა | 24 362 | | 24 362 |
| ძირითადი საშუალებები | 50 959 | | 50 959 |
| არამატერიალური აქტივები | 4 630 | | 4 630 |
| გადავადებული საგადასახადო აქტივი | 408 208 | | 408 208 |
| ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში | 15 000 | | 15 000 |
| **სულ აქტივები:** | 3 385 284 | 1 593 387 | 4 978 671 |
| მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები | 8 214 | | 8 214 |
| გადასახდელი გადაზღვევის ვალდებულება | 1 200 | 15 022 | 16 222 |
| მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი | 455 976 | | 455 976 |
| განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი | 598 417 | | 598 417 |
| გადავადებული შემოსავალი | 1 456 353 | | 1 456 353 |
| **სულ ვალდებულებები:** | 2 520 159 | 15 022 | 2 535 181 |
| **ნეტო საბალანსო პოზიციები 31.12.2012 -სთვის** | 865 125 | 1 578 365 | 2 443 489 |

კომპანიას გააჩნია ფულადი სახსრები, მოთხოვნები და ვალდებულებები აშშ დოლარში. კომპანიას სავალუტო რისკი არსებობს მაშინ როდესაც კომპანიის აქტივები ან მეტია ან ნაკლებია ვალდებულებებზე იმავე ვალუტაში.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან საბალანსო მუხლების მიხედვით:

| | მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან |
|---|---|
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები | (29 095) |
| მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან | (2 078) |
| სხვა მიმდინარე მოთხოვნები | 8 |
| გაცემული სესხები | (12 217) |
| მისაღები დივიდენდები, პროცენტები და სხვა | (41) |
| **სულ საკურსო მოგება / (ზარალი) აქტივებიდან:** | **(43 424)** |
| გადასახდელი გადაზღვევის ვალდებულება | 1 149 |
| **სულ საკურსო მოგება / (ზარალი) ვალდებულებებიდან:** | **1 149** |
| **სულ მოგება /(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან:** | **(42 275)** |

## 8. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

| | ნაშთი 01.01.2013 (ლარი) | ნაშთი 01.01.2012 (ლარი) |
|---|---|---|
| ნაღდი ფული სალაროში | 81 | 1 212 |
| მიმდინარე საბანკო ანგარიშები | 1 902 575 | 4 566 044 |
| დეპოზიტები | 865 000 | 692 100 |
| | 2 767 656 | 5 259 357 |

## 9. მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე ირიცხებოდა დებიტორული დავალიანება სამედიცინო, ტვირთების, ავტომობილების, საავიაციო, სამოგზაურო და ქონების დაზღვევიდან, სულ 1,395,790 ლარის ოდენობით. კომპანიის სრული დებიტორული დავალიანების სტრუქტურა სახეობების მიხედვით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

| | ნაშთი 01.01.2013 | ნაშთი 01.01.2012 |
|---|---|---|
| | (ლარი) | (ლარი) |
| სიცოცხლის დაზღვევა | 706 | |
| სამედიცინო დაზღვევა | 1 386 668 | 309 207 |
| ტვირთების დაზღვევა | 953 | 2 043 |
| ავტომობილების დაზღვევა | 7 253 | 1 400 |
| საავიაციო დაზღვევა | (35) | 62 636 |
| სამოგზაურო დაზღვევა | 245 | (515) |
| ქონების დაზღვევა | | |
| | 1 395 790 | 374 771 |

## 10. წინასწარ გაწეული ხარჯები და გადახდილი გადასახადები

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე ერიცხებოდა წინასწარ გაწეული ხარჯები და გადახდილი გადასახადები შემდეგი სტრუქტურით:

| | ნაშთი 31.12.2012 | ნაშთი 31.12.2011 |
|---|---|---|
| | (ლარი) | (ლარი) |
| წინასწარ გადახდილი საშემოსავლო გადასახადი | 21 | 21 |
| წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი | 243 785 | |
| წინასწარ გადახდილი სოციალური გადასახადი | 50 | 50 |
| წინასწარ გადახდილი სხვა გადასახები | 950 | 506 |
| სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები | | 1 228 |
| | 244 806 | 1 805 |

2012 წელი კომპანიამ დაასრულა საგადასახადო ზარალით, რამაც გამოიწვია ის ფაქტი რომ წლის ბოლოს კომპანიას აღმოაჩნდა წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი 243,785 ლარის ოდენობით. ეს ზედმეტობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად კომპანია ყოველ კალენდარულ წელს წინასწარ იხდის მოგების გადასახადს წინა კალენდარული წლის მოგების მიხედვით. წლის ბოლო შედეგების გამოყვანისას ხდება გადახდილი გადასახადის კორექტირება. ვინაიდან 2012 წელი კომპანიისთვის საგადასახადო კუთხით ზარალიანი აღმოჩნდა, 2011 წლის მიხედვით კომპანიის მიერ გადახდილმა მოგების გადასახადმა შეადგინა გადამხდელის საგადასახადო ბარათზე ე.წ. „ზედმეტობა“ (ზედმეტად გადახდილი გადასახადის ოდენობა).

საქართველოს კანონმდებლობით კომპანიას შეუძლია ერთი გადასახადის ზედმეტობა ჩაითვალოს სხვა გადასახადში.

## 11. მისაღები დივიდენდები, პროცენტები და სხვა

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ქართუ ბანკში, ბაზისბანკსა და პროკრედიტ ბანკში განთავსებული დეპოზიტებიდან მისაღები ჰქონდა 22,945 ლარი, 1,109 ლარი და 309 ლარი შესაბამისად. სულ მისაღები პროცენტების ნაშთმა 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 24,363 ლარი.

## 12. ძირითადი საშეალებები და არამატერილური აქტივები

| | სატრანსპორტო საშუალებები (ლარი) | ოფისის აღჭურვილობა (ლარი) | არამატერიალური აქტივები (ლარი) | სულ (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| **ისტორიული ღირებულება** | | | | |
| ნაშთი 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | 28066 | 107703 | 16885 | 152654 |
| დამატება | | 16222 | | 16222 |
| (შემცირება) | | | | 0 |
| გადაფასება | | 2 480 | | 2480 |
| **სულ ისტორიული ღირებულება 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | 28066 | 126404 | 16885 | 171355 |
| **ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება** | | | | |
| ნაშთი 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | 13424 | 63519 | 10835 | 87778 |
| ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი | 5613 | 20955 | 1420 | 27987 |
| ჩამოწერა | | | | 0 |
| **სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | 19037 | 84474 | 12255 | 115765 |
| **ნარჩენი ღირებულება 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | 9029 | 41931 | 4631 | 55590 |

## 13. გადავადებული საგადასახადო აქტივი

| | *ნარჩენი ღირებულება (ფინანსური)* | *ნარჩენი ღირებულება (საგადასახადო)* | *დროებითი სხვაობები* | *მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი* | *მოგების გადასახადი აქტივი (ვალდებულება)* |
|---|---|---|---|---|---|
| *2012* | | | | | |
| ძირითადი საშუალებები | 50,959 | 57,808 | 6,849 | 15% | 1,027 |
| არამატერიალური აქტივები | 4,630 | 7,906 | 3,275 | 15% | 491 |
| საგადასახადო ზარალი | - | - | 2,214,414 | 15% | 332,162 |
| განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის ანარიცხი | (496,849) | - | 496,849 | 15% | 74,527 |
| სულ | (441,260) | 65,714 | 2,721,388 | | 408,208 |

კომპანიის განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი შედგება ორი ნაწილისგან: რეზერვის ის ნაწილი, რომელიც საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის კომპანიაში შემოვიდა საბუთის (ინვოისის) საფუძველზე; რეზერვის ის ნაწილი, რომლის ოდენობა არ არის დადასტურებული საგადასახადო საბუთით, მაგრამ რომლის ოდენობის სანდო შეფასება შესაძლებელია. კომპანია მოგების გადასახადის მიზნებსთვის არ ქვითავს იმ რეზერვის ნაწილს რომელიც კომპანიაში შემოსულია ინვოისის გარეშე, მაგრამ რომელიც ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის მონაწილეობას იღებს მომხდარი ზარალის ხარჯებში. რეზერვის ეს ნაწილი საგადასახადო ხარჯებში ღებულობს მონაწილეობას მხოლოდ მაშინ, როდესაც ამა თუ იმ ზარალის ოდენობაზე კომპანია მიიღებს შესაბამის დადასტურებას – ინვოისს. 2012 წლის განმავლობაში რეზერვის ამ ნაწილმა შეადგინა 496,849 ლარი.

## 14. ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში

კომპანიას დაფუძნებული ჰყავს შვილობილი კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეესტრი XXI", რომელიც დარეგისტრებულია 18.10.2001 წ. ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულის სასამართლოს № 5/4-3005 დადგენილებით, საიდენტიფიკაციო კოდი № 204975438, იურიდიული მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 39ა. საწარმო ფლობს შპს „რეესტრი XXI"-ის საწესდებო კაპიტალში წილის 100%-ს. შპს „რეესტრი XXI"-მა თავის მხრივ, ასევე 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით, 2003 წლის 29 იანვარს დააფუძნა კიდევ ერთი შვილობილი კომპანია შპს „დიაბაზი", რომელიც რეგისტრირებულია ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულის სასამართლოს № 5/4-3466 დადგენილებით.

## 15. გადასახდელი გადასახადები

2011 წლისგან განსხვავებით, 2012 წლის 31 დეკემბერს კომპანიას არ გააჩნდა საგადასახადო ვალდებულებები, რადგან კომპანიამ 2012 წლის განმავლობაში ყველა გადასახდელი გადასახადი გადახდა წინსწრებით მოახდინა. 2012 წელი კომპანიამ საგადასახადო ზარალით დაასრულა, რაც გახდა მიზეზი იმისა, რომ 2012 წელში წინასწარ

გადახდილი მოგების გადასახადი, ე.წ „მოგების საავანსო“ მას ზედმეტად გადახდილ მოგების გადასახადად დაუფიქსირდა.

## 16. გადავადებული შემოსავალი (UPR რეზერვი)

კომპანიის 2011 და 2012 წლების გადავადებული სადაზღვევო შეოსავლების სტრუქტურა შემდეგნაირად წარმოდგებოდა:

| | გადავადებული შემოსავალის ნაშთი *31.12.2011* | მოზიდული პრემია *2012 წელი* | გამომუშავებული პრემია *2012 წელი* | გადავადებული შემოსავალის ნაშთი *31.12.2012* |
|---|---|---|---|---|
| სამედიცინო დაზღვევა | 307140 | 8986878 | 7919453 | 1374565 |
| სამოგზაურო დაზღვევა | 1221 | 3071 | 3015 | 1277 |
| ფინანსური რისკების დაზღვევა | 6386 | 37341 | 37691 | 6036 |
| სიცოცხლის დაზღვევა | 517 | 4787 | 2730 | 2573 |
| ქონების დაზღვევა | 923 | 2422 | 2907 | 438 |
| ავტომობილების დაზღვევა (სამოქ. პასუხისმგებლობის ჩათვლით | 6642 | 139551 | 90288 | 55905 |
| უბედური შემთხვევების დაზღვევა | 7689 | 2562 | 4884 | 5367 |
| ტვირთების დაზღვევა | 2382 | 52042 | 54056 | 368 |
| საავიაციო დაზღვევა | 74746 | -23758 | 41254 | 9734 |
| სულ: | 407647 | 9204895 | 8156277 | 1456264 |

## 17. საწესდებო კაპიტალი

2012 წლის 31 დეკემბერს კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 2,670,300 ლარს, რომელიც მთლიანად იყო შევსებული ფულადი ფორმით. საანგარიშო პერიოდში კომპანიას არ მოუხდენია საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება.

## 18. ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი

2012 წელს კომპანიამ მოახდინა ზოგიერთი ძირითად საშუალები გადაფასება, რის შედეგადაც მას გაუჩნდა გადაფასების რეზერვის ნაშთი 2,439 ლარის ოდენობით. 2012 წელს ჯამურმა გადაფასებამ შეადგინა 2,480 ლარი, თუმცა კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება რომ გადაფასების რეზერვი შეემცირებინა ცვეთის იმ ოდენობით, რაც ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის ხვედრით წილს წარმოადგენდა, კერძოდ კი – 41 ლარით.

## 19. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო არის ფუნქციონირებადი, რაც იმას გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.